

# საგაბიელი

ეროვნული  
გზური

საორტული გაზეთი

ოთხშაბათი 6 ივნისი 2001 №103 (1376)

ფასი 50 თეთრი

კობა  
ინასარიძე

გულაგოზტიან



**უნგრეთი 2**  
**საქართველო 1**  
ახალგაზრდულები

## პინსლოვრით უბრალოდ!

**გინდა ეროვნული,  
გინდა ვაჟაში,  
გინდა არ დაჯდა  
ჩვენი ღუშაში**

**ქართველებმა რუმინეთ-უნგრეთის  
საქმე გაარჩიეს**

იხილეთ მეორე გვერდი

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი  
6 ივნისი, თბილისი. სპორტის სასახლე, 18 საათი

### საქართველო — ბელარუსი

**ფარულიას საქმე ბელარუსი  
კულინარების წინააღმდეგ**

დღეს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს სერიოზული გამოცდა ელის. გამომცდელი ბელარუსის ეროვნული გუნდია, რომელიც ქართველებს თბილისში ერთხელ, 1997 წლის იანვარში უკვე დაუმარცხებიათ. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. დღეს ბელარუსების ლიდერი თურქეთის „გალათასარაიში“ მოთამაშე 212-სანტიმეტრიანი ცენტრი, ალექსანდრ კულია, მის წინააღმდეგ თამაში კი ასევე თურქული „ულქერის“ 17 წლის 210-სანტიმეტრიანი ცენტრს ზაზა ფაჩულიას მოუწევს. ამ ორის დაპირისპირება ბევრს გადანყევს დღევანდელ მატჩში.

**ზაზა ფაჩულია:**

— კული ძალიან ძლიერი კალათბურთელია, შეტევისას ხშირად იღებს არაორდინალურ გადანყვეტილებას, რაც განსაკუთრებით აძნელებს მის წინააღმდეგ მოქმედებას. „გალათასარაისთან“ არაერთხელ მოთამაშეა, მაგრამ უშუალოდ კული არასდროს დამიჭერია. თურქეთის ჩემპიონატში ჩვენმა გუნდმა მისი გაუწეებლბა გუნდური თამაშისა და სწორი ურთიერთდაზღვევის წყალობით მოახერხა.

**ალექსანდრ კული:**

— ფაჩულია ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშეა. ძალიან მეტროლოია, განსაკუთრებით ფარქვეშ. მასთან თამაში საინტერესო იქნება. ვნახოთ, როგორი მხარდაჭერა გვექნება ჩვენ-ჩვენი თანაგუნდელებისგან. ვფიქრობ, ყველაფერს ეს გადანყევს.

იხილეთ მეათე-მეთერთმეტე გვერდები



**EXCLUSIVE**

კობა ინასარიძის  
ინტერვიუ  
პაოლო მალდინისთან



1997 წლის 9 სექტემბერი. თბილისი. ეროვნული. იტალიის წყრების მშინდელი მწვრთნელი და კაპიტანი: ჩეზარე და პაოლო მალდინები

პაოლო მალდინის ფოტო

### პაოლო მალდინი:

**...გაფასებ უბრალოებას, ჩემთვის  
სულერთია, ვინ როგორი ფენიდანაა  
...ტრეზებზე „ოქროს გოლი“ რომ  
გაგვიტანა, თვალთ დაიბნეულა  
...ჩემს საფეხბურთო საქმეებში  
მამა არ ერიოდა. ახლა კი,  
ხანდახან რჩევასაც მიპითხება**

იხილეთ მეცხრე-მეცხრე გვერდები

გულამ დოლენაშვილის ფოტო



გუმინ სპორტის სასახლეში: ალექსანდრ კული (მარცხნივ) და ზაზა ფაჩულია ერთმანეთს თბილისშიც და სანაყრებო დონეზეც შეხვდნენ







მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

მსოფლიოს ჩემპიონატი

ეროვნული გიგლიორთი

თამაში სიძნისა და ტერორისტთა გარემოცვაში

კოს, თქვენ დისკალიფიცირებული ხართ

ამ უქმეებზე გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების შემდეგ ეროვნულმა გუნდებმა სერიოზული დასვენება ვერც მოასწრეს და დღეს კვლავ უწყვეტ თამაშში...

გერმანელთა ჰელსინკურმა ფრემ ინგლისის ნაკრებს მანსი მისცა, მეცხრე შესარჩევი ჯგუფის სათავეში მოექცეს. ამისთვის ბრიტანელმა ყველა დარჩენილი თამაში, მათ შორის დღევანდელი საბერძნეთთან და სტუმრად გერმანელუბთან უცილობლად უნდა მივიტოს.

სვენ გორან ერიკსონს მიეღო საბრძოლო შექმედებისთვის მოუწია თავი და საბერძნეთთან კლიმატური პრობლემის მსგავს ესპანეთში გასწვრივ შევირდები. ბრიტანელები ათენში უკლებლივ ნაიუნდნ. შვედი გურუ ადარც სტივენ ჯერარდს მოისაკლისებს, რომლის თამაშიც ტრავმის გამო საეჭვო იყო. ასევე საეჭვო იყო მანჩესტერლების - დევიდ ბექჰემისა და პოლ სკოულზის საბერძნეთში გამგზავნება. საბედნიეროდ, ნაკრების ექიმმა მათი ჯანმრთელობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

ბერძნებს ალბანეთთან მოგება მხოლოდ ადგილზე აღზევების მიცემის იმედს გაუჩინა. ბალკანელები სტუმრებს გაფრთხილებების გამო ვერ დაუპირისპირებენ შემტევ ნახევარმცველ გიორგიოს გეორგიადისსა და ნახევარმცველ ხრიტოს პატაგოგლუსს. სხვა მხრივ ბერძნებს ყველაფერი რიგზე აქვთ და საბრძოლველად არიან განწყობილინი. მათ საკუთარი კედლებისა და განთქმული ვიდეო კომენტარების დიდად ეიმედებოთ. ამ მხრივ საყურადღებოა, ინგლისელთა ავანგარდის კარგად მკოდნე ნიუკასლელი მცველის, ნიკოს დაბიზასის განცხადება: „მაყურებელს წინა თამაშზე უფრო დიდ სანახაობას ვპირდებით. საკუთარი კედლები ჩვენთვის დიდი უპირატესობაა. თუ ვავითვალისწინებთ, რომ ათენში უკვე საკმაოდ ცხელია, ბუნებრივი პირობებიც ჩვენს წინააღმდეგ არის და ოთხშაბათს გულშემატკივარი გასულ უქმეებზე გამართულ ბრძოლაზე...

გიორგი გეორგიადისი



სვენ გორან ერიკსონი



ინგლისელი ფანების დასახვედრად ბერძნული პოლიციაც მზადია

I ჯგუფი

Table with 2 columns: Team, Points. Lists teams like Russia, France, Slovenia, etc.

II ჯგუფი

Table with 2 columns: Team, Points. Lists teams like Czech Republic, Andorra, Georgia, etc.

III ჯგუფი

Table with 2 columns: Team, Points. Lists teams like Ireland, Malta, Slovakia, etc.

დარჩენილი მატჩები

დღეს: ფარეები - იუგოსლავია; ლუქსემბურგი - რუსეთი; შვეიცარია - სლოვენია...

დარჩენილი მატჩები

დღეს: ესტონეთი - ირლანდია; ბორტუგალია - ჯიბრალტი...

დარჩენილი მატჩები

დღეს: ჩეხეთი - ჩრდ. ირლანდია; ბულგარეთი - დანია...

IV ჯგუფი

Table with 2 columns: Team, Points. Lists teams like Turkey, Moldova, Azerbaijan, etc.

დარჩენილი მატჩები

დღეს: აზერბაიჯანი - სლოვაკეთი; შვედეთი - მოლდოვა; თურქეთი - მაკედონია...

V ჯგუფი

Table with 2 columns: Team, Points. Lists teams like Norway, Belarus, Ukraine, etc.

დარჩენილი მატჩები

დღეს: ნორვეგია - ბელარუსი; უკრაინა - უელსი; სომხეთი - ბოლონეთი...

VI ჯგუფი

Table with 2 columns: Team, Points. Lists teams like Latvia, Lithuania, Estonia, etc.

დარჩენილი მატჩები

დღეს: ლატვია - სორვატია; სან მარინო - ბელგია; სოციალისტური რესპუბლიკა ჩინეთი - შოტლანდია...

VII ჯგუფი

Table with 2 columns: Team, Points. Lists teams like Bosnia, Croatia, Serbia, etc.

დარჩენილი მატჩები

დღეს: ისრაელი - ესპანეთი; ესტონეთი - ბოსნია; ისრაელი - ესპანეთი...

VIII ჯგუფი

Table with 2 columns: Team, Points. Lists teams like Romania, Lithuania, Hungary, etc.

დარჩენილი მატჩები

დღეს: ლიტვა - რუმინეთი; უნგრეთი - საქართველო; ლიტვა - იტალია...

IX ჯგუფი

Table with 2 columns: Team, Points. Lists teams like Finland, Iceland, Liechtenstein, etc.

დარჩენილი მატჩები

დღეს: ალბანეთი - გერმანია; საბერძნეთი - ინგლისი; გერმანია - საბერძნეთი...





EXCLUSIVE

# პიხსოპროტი უბრალოდ!

## პაოლო მალდინი: პარსკვლავი, რომელსაც ეს სიტყვები დაეჯერება

პოპ ინსაროძე

„მილანი“ და იტალიის ნაკრები. სამი მსოფლიოს ჩემპიონატი და ამდენივე ევროპის ორი ფინალი, ერთი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის, მეორე — შარშანდელი ევროპის ორჯერვე იმედგაცრუება. წაგება მატჩის შემდეგში პენალტებით და „ოქროს გოლით“, ექვსჯერ სკულეტო, სამჯერ ჩემპიონთა თასი. 16 წელი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდში და 13 წელი იტალიის ნაკრებში. ოთხი წელი კლუბის და ეროვნული გუნდის კაპიტანი.

პოპულარული ინგლისური ჟურნალი „უორლდ სოკერი“ წერს: „ის იტალიელების ერთგვარი გამოხატულებაა. მაღალი, ცისფერთვალეა, ათლეტური, ჯანმრთელი ცხოვრების წესის მიმდევარი. მოკლე, ის არის, ვისაც ნებისმიერი იტალიური ოჯახი სიძელ ისურვებდა.“

და კიდევ: დღესდღეობით მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს თუ ჩამოთვლიან, უეჭველია, მათ შორის ამ სიმპათიურ, კულტურულ და ზრდილ, თავდაბალ და ტაქტიკურ ფეხბურთელსაც მოიხსენიებენ. მან თავისი სიტყვა უკვე თქვა და დღესვე რომ მიატოვოს თამაში, ფეხბურთის ისტორიაში მანც უმნიშვნელოვანეს ფიგურად დარჩება.

პაოლო მალდინი — დიდი ფეხბურთელი, დიდი სახელი!

სასტუმრო „შერატონი“. ღამეა, დაახლოებით პირველი საათი. თბილისში ახალჩამოსული იტალიის ნაკრების ფეხბურთელები ნომრებში ისვენებენ. თითქოს გულმა მიგრძნო — ცოტაც მოვიცადოთ, ის ჩამოვა — ვუბნები სარბიელელ კოლეგებს. ვესტიბიულში ერთ-ორ კაცს თუ მოკრავ თვალს. და უცებ, ლიფტი ამოძრავდა, ძირს დაეშვა, წუთიც და იტალიელი ფეხბურთელები ჩვენს გვერდით არიან. ზოგმა ყავა მოისურვა, ზოგმაც გააბოლა, სხვებმა საუბრით შეიქცეს თავი. აი, ისიც, ნაბიჯი და პაოლო მალდინის პირისპირ ხარ...



თანაგრძნობა: კახა კალაძე და პაოლო მალდინი



პაოლო მალდინის (№3) ჯობნა მიხეილ ყაველაშვილს კი არა, მსოფლიოს საუკეთესო თავდასხმელებსაც უჭირთ

— გამარჯობათ, სპორტული გაზეთი „სარბიელი“ გაწუხებთ. ინტერვიუ უნდა გთხოვოთ.

— ახლა? — ღიმილით გვეკითხება. — ხვალ, ახლა დადლილი იქნებით. — ასე ჯობს. პირველ საათზე აქ შევხვდეთ.

— შევთანხმდით? — შევთანხმდით.

ისევ გავედიმა, თვალი ჩაგვიკრა, ნახვამდისო, გვიბორა და თანაგუნდლებს შეუერთდა.

მეორე დღეს, დატყეულ დროს, პირველ საათზე, იტალიის ნაკრები მთელი შემადგენლობით ქვემოთ ჩამოლაგდა. ფეხბურთელებმა სასტუმროსთან გაიარ-გამოიარეს და მალევე ნომრებში ავიდნენ.

— ჩვენ გუშინ შევთანხმდით. „სარბიელიდან“ გაწუხებთ. ერთმანეთს პირველ საათზე უნდა შევხვედროდით.

უკვე ორის ნახევარია. მალდინის ნომერში შევხვდით.

— კი, შევთანხმდით, მაგრამ პირველ საათზე. სად იყავით?

— სასტუმროში ვიყავით, მაგრამ თქვენთან მოხსლოება ვერ მოვახერხეთ. საქართველოში იმდენი ქომაგი გყავთ.

— კარგი. ათ წუთში სასადილოდ შევალ და მეორე ჩამოვალ. დამელოდებით?

— დიან, გელოდებით.

ათი წუთი გავიდა, ოციც, დაახლოებით საათიც. მალდინი არ ჩანს.

— უკაცრავად, მალდინი უკვე ისადილა? — ვეკითხებით ფილიპო ინმაგის, ტურინის „იუვენტუსის“ ფორვარდს იქვე ვესტიბიულში მიღწეულ ფრანსესკო კოკოს რომ ესაუბრება.

— კი, ისადილა. ახლა ნომერშია, სძინავს — ცივად მოგვივო ინმაგიმ, მე და ჩვენს დამხმარეს, თარჯიმან ლაშა ჯაფარიძეს.

„გადამავლო-მეთქი“, გავიფიქრე, ხელი ჩავიჭიე და... სასტუმროს გამჭვირვალე ლიფტი ქვემოთ ეშვება, კარი იღება. ისევ მომღიმარი სახე და თავ-

ვანისმცემელთა ალყა სურათი გადავიღოთ, ავტოგრაფი მომეციო... პაოლო მალდინის ირგვლივ დიდი ამბავია.

— დიდხანს გალოდინეთ? პირველი კითხვა მალდინისაა.

— არა, არც ისე.

— იქით ჩამოვსხდეთ, ასე ავობებს. ის ქომაგებს ვერ აუღის. ხელი ვადამხვით, გოგონამ მაჯაზე ხელი სტაცა და მხარზე შემოიხვია, მეგობარმაც არ დააყოვნა, აპარატი უმაღ ჩააჩაქუნა.

— დავსხდეთ.

თავაზიანად მიმითითა სავარძლისკენ.

— დავიწყოთ? ვისმენთ.

და დავიწვეთ. პაოლო მალდინი და „სარბიელი“. ექსკლუზიური ინტერვიუ.

— ჯერ ბავშვობა გაიხსენეთ. მამამ დაგაწყებინათ თამაში თუ თავად გაგო-

წიათ გულმა ფეხბურთისკენ?

— არა, ეს ჩემი სურვილი იყო. ძალიან პატარას შემეყვარდა ფეხბურთი. სკოლაში სულ ბურთს დავდევი. 10 წლის ვიყავი, როცა მამამ მითხრა, გუნდი აირჩიე. მილანში ორი დიდი გუნდია — „მილანი“ და „ინტერი“. ერთ-ერთის ბავშვთა სკოლაში უნდა მივსულიყავი. დიდხანს ვიფიქრე და ბოლოს მამას უთხარი, „მილანში“ მიმიყვანე-მეთქი. გადაწყვეტილება მანაც მიმიწონა. მეორე დღესვე „მილანის“ სკოლაში ვიყავი.

ჩემარე მალდინი, პაოლოს მამა — ისიც დიდი ფეხბურთელი, თავის დროზე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მცველი. რამდენჯერმე მოიღო ჩემპიონთა თასი. ისიც მარცხენა მცველი და „მილანის“ კაპიტანი იყო. ერთი ხანობა იტალიის ნაკრების და ახლა „მილანის“ მწვრთნელი.

— ბავშვობაში მამა რას გირჩევდით ხოლმე?

— ჩემს საფეხბურთო საქმეებში ის არ ერეოდა. ბავშვობიდანვე ძალიან კარგი მწვრთნელების ხელში ვიყავი. მამა, როგორც მშობელი შვილს, ისეთ რჩევებს მაძლევდა, ჭკუას მარიგებდა, სულ ზრდილობაზე მელაპარაკებოდა, ასე მზრდიდა.

— და გავზარდათ. ბევრი ვარსკვლავი ცხვირბზუებული დადის. თქვენი კი... დიდ ფეხბურთელადაც გაქციათ.

— გამაღობთ.

ისევ თავვანისმცემელთა ალყა — ავტოგრაფები, ავტოგრაფები... დიდი ბოდიში, მაკალეთ, ვილაპარაკებ და მერე-იგერიებს მალდინი თინიჯერებს.

— 16 წელია, „მილანში“ თამაშობთ. ბავშვობიდან დღემდე არ გქონიათ სურვილი, კარიერა სხვა გუნდში გავგზრებდებინათ? თუ „მილანი“ არ გიშვებთ?

— მე მილანში დავიბადე, გავიზარდე, ყველაფერი იქ ვისწავლე. „მილანიდან“ არც გამოივებენ და არც მე წავალ სადმე. თამაში „მილანში“ დავიწვე და იქვე დავამთავრებ. სხვაგან წასვლაზე არასოდეს მიფიქრია. „მილანი“ ჩემი ცხოვრებაა. „მილანი“ და ოჯახი.

— თქვენი ერთი შვილი, კრისტიანი მამისა და პაპის გზას უნდა გაჰყვებ?

— როგორც ისურვებს. ის ისეთივე თავისუფალი იქნება, როგორც მე ვიყავი. თუ ფეხბურთელობას გადაწყვეტს, ყველანაირად ხელს შევეწყობ.

— პირველად ჩემპიონთა თასი 10 წლის წინ მოიპოვეთ, მერე კიდევ ორჯერ. რომელ წელს იყო „მილანი“ უკეთესი? საკის თუ კაპელოს მწვრთნელობისას?

— მიჭირს პასუხის გაცემა. საკიმ გუნდი ასლებურად ათამაშა, თითქმის ყველაფერი გადააწყო, მეტოქეები ვერ ხვდებოდნენ, როგორ ფეხბურთს ვთამაშობდით. საკიმ თამაშის სტილი შეც-

იხილეთ მეტბრე გვერდი



პაოლო მალდინიმ ჩვენს „ეროვნულზე“ მეორედ ითამაშა

პაოლო მალდინი

ფოტო: ივანე მამუკაძე









# სარბიელი სპორტული ლატარია კროკო

პოლანდია. პლეი-ოფი. "ა" ჯგუფი. მე-2 ტური  
6 ივნისი

23.00	001	ვოლენდამი-ზვოლე	2,3	3,0	2,9
23.00	002	სიტარდი-ტელსტარი	1,55	3,4	5,6

პოლანდია. პლეი-ოფი. "ბ" ჯგუფი. მე-3 ტური  
6 ივნისი

22.30	003	იგლსი-კამბური	2,2	3,0	3,1
23.00	004	ექსელსიორი-სპარტა	2,4	3,1	2,6

ფინეთი. მე-10 ტური  
6 ივნისი

20.30	005	იოკერიტი-ჯაზი	1,8	3,2	3,8
-------	-----	---------------	-----	-----	-----

7 ივნისი

20.30	006	პაკა-კუოპიო	1,45	3,8	6,0
20.30	007	პიკ-ტამპერე	1,5	3,6	5,6
20.30	008	მიუპა-ლაპტი	1,4	3,8	7,0
20.30	009	როვანიემი-ინტერი	2,8	3,1	2,3
20.30	010	ვაასა-ატლანტისი	3,0	3,1	2,2

მს შესარჩევი მატჩები  
6 ივნისი

19.00	501	აზერბაიჯანი-სლოვაკეთი	8,0	4,4	1,3
20.00	502	ჩეხეთი-ჩრდ.ირლანდია	1,15	6,0	12,0
	503	ჩეხეთი-ჩრდ.ირლანდია 0:1	1,35	4,0	4,0
20.00	504	სომხეთი-პოლონეთი	6,0	3,5	1,5
20.00	505	ლატვია-ხორვატია	7,5	4,0	1,35
20.00	506	ლიტვა-რუმინეთი	7,5	4,0	1,35
21.00	507	ესტონეთი-ირლანდია	7,0	3,8	1,4
21.00	508	უკრაინა-უელსი	1,25	5,0	9,0
	509	უკრაინა-უელსი 0:1	1,5	4,0	3,2
22.00	510	ფარერები-იუგოსლავია	10,0	5,6	1,2
22.00	511	ნორვეგია-ბელარუსი	1,5	3,5	6,0
22.00	512	ისრაელი-ესპანეთი	4,4	3,2	1,7
22.15	513	დანია-მალტა	1,01	10,0	20,0
	514	დანია-მალტა 0:3	1,5	4,4	2,8
22.30	515	ალბანეთი-გერმანია	7,5	4,0	1,35
22.30	516	თურქეთი-მაკედონია	1,2	5,6	10,0
	517	თურქეთი-მაკედონია 0:2	1,7	4,4	2,5
23.00	518	ლუქსემბურგი-რუსეთი	16,0	8,0	1,05
23.00	519	ისლანდია-ბულგარეთი	3,0	3,1	2,2
23.00	520	შვედეთი-მოლდოვა	1,1	7,0	14,0
	521	შვედეთი-მოლდოვა 0:2	1,7	4,4	2,5
23.15	522	შვეიცარია-სლოვენია	1,8	3,0	4,2
23.15	523	უნგრეთი-საქართველო	ანგარიში -	5,0	
23.30	524	სან მარინო-ბელგია	20,0	8,0	1,03
23.45	525	საბერძნეთი-ინგლისი	3,6	3,1	1,9
01.00	526	პორტუგალია-კვიპროსი	1,05	8,0	16,0
	527	პორტუგალია-კვიპროსი 0:2	1,5	4,4	3,0

კონფედერაციათა თასი. 1/2 ფინალი  
7 ივნისი

13.00	528	იაპონია-ავსტრალია	1,9	3,1	3,4
16.00	529	საფრანგეთი-ბრაზილია	1,9	3,1	3,4

მს შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)

6 ივნისი

18.30	547	ლუქსემბურგი-რუსეთი	14,0	7,0	1,05
-------	-----	--------------------	------	-----	------

7 ივნისი

17.00	548	ალბანეთი-გერმანია	8,0	4,4	1,25
-------	-----	-------------------	-----	-----	------

ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი  
7 ივნისი

03.30	549	კრუს ასული-როსარიო	1,85	3,1	3,8
05.40	550	ბოკა ხუნიორსი-პალმეირასი	1,85	3,1	3,8

კალათბურთი. ფინალი  
6 ივნისი

06.00	801	ლეიკერსი-ფილადელფია	1,2	12,0	3,5
-------	-----	---------------------	-----	------	-----

პოკეი. ფინალი  
7 ივნისი

05.00	901	ნიუ ჯერსი-კოლორადო	1,0	1,0	1,0
-------	-----	--------------------	-----	-----	-----

# სარბიელი სპორტული ლატარია



BOOKMAKERS

# კროკო

კროკოს გიუროთა მისამართები:

- თბილისში** — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; გლდანი, სავაჭრო ცენტრი; ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან); ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში) გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმადელესთან“) ნერეთლის გამზირი №11; ჭავჭავაძის გამზირი №41
- ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში) ფალიაშვილის ქუჩა №27
- ბორჯი** — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
- თელავში** — კოსტავას ქუჩა №23.
- რუსთაველი** — შარტავას ქუჩა №7
- ოზურბაეთში** — გურიის ქუჩა №23
- ბათუმში** — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21; ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61; ჯავახიშვილის ქუჩა №78; ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)
- ძოგუაშეთში** — აღმაშენებლის ქუჩა №106
- მარნაულებში** — რუსთაველის ქუჩა №39

კოფეციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაახუსტეთ







# ქორწინება ბიანს არმენი და ინგა



REUTERS სოფიიდან

დღეს უგანტქმულესი ბულგარული მოჭიდავე არმენ ნაზარიანი სომეხი გახლავთ. ცნობრება ისე წაუვიდა, რომ ბულგარეთის სახელით ასპარეზობს და ჯილდოებსაც ამ ქვეყნის სახელით იგებს. სიდნეის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონობაც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, ბულგარული დროშის ქვეშ მოიპოვა. ახლა კი მზად კილოგრამამდე კატეგორიის სელმწიფე ცოლს ირთავს. ქორწინდი სოფიამია, არმენის რჩეულს ინგა ჰქვია.



ეროვნული ბიზნისოთიკ

REUTERS ულსანიდან

## ზიდანები მსჯელობენ

სხნამ საფრანგეთის ნაგრები კორეაში ღვრის ოფლს, სოლო „იუვენტუსი“ ისვენებს, ზინედინ ზიდანს და მის მუდღელე ვერონიკს პარიზისკენ გაუწევიათ და იქ როლან გაროსის შეჯიბრს ადვენებენ თვალს. სიმართლე ითქვას და, დიდად არც ადვენებენ, ცოლ-ქმარი რაღაც საოჯახო ამბავს თუ ვანსავის, ან ევგებ, ესპანეთში გადაბარგება-არგადბარგების საკითხს.



REUTERS პარიზიდან



REUTERS ტირანიდან

## სკორპიონში ტირანაში

ლემანდარული გერმანული როკ ჯგუფი „სკორპიონი“ ალბანეთის დედაქალაქ ტირანაშია და იქ ორ კონცერტს გამართავს. ს იენისს კი მუსიკოსები „ქემალ სტაფას“ სტადიონზე მივლენ და გერმანიის ნაგრებს უქიმავენ. სწორედ ამ საღამოს გერმანიის ნაგრები შესარჩევ თამაშს ატარებს ალბანელთა წინააღმდეგ.

## საფეხბურთო მზარეულები

შორეულ აზიაში მიმდინარე ფეხბურთის კონფედერაციითა თასზე ფეხბურთელებიც მოუცლელები არიან და მზარეულებიც. კორეის ქალაქ ულსანის „ჰიუნდაი თტელში“ ერთმანეთს კულინარიულ გამოცდილებას უზიარებენ საფრანგეთის ნაგრების მზარეული ანდრე ბისონი და სამხრეთკორეული სამზარეულოს ოსტატი ჩოი მუნი.

## თაგაუისტვის


საბაისოდ ახალი კომპიუტერული თამაში მზადდება. გმირები კვლავაც ენბიეი-ს კალათბურთელები იქნებიან და თამაშიც სომ ზუსტად ისეთი იქნება, ენბიეი-ში რომ გახურდება ხოლმე. შეიძლება ითქვას, რომ ამ ტელეთამაშს ნამდვილი თამაშისგან ვერ გამოთარჩევ. ყოველ კალათბურთელს თავისი ასლი ეყოლება ეკრანზე, მისი თამაშის მანერითა და ხერხებით. სწორედ საკუთარი ასლის გადაღებებზე ღვრის ოფლს „ლეიკერსის“ ლიდერი კობი ბრაიანტი.



REUTERS ლოს ანჯელესიდან

## აიპერსონები

„ვილაჯელზია“ და აღენ აიგერსონმა აღმოსავლეთის ჩემპიონობა მოიგეს და თუმცა დიდ ფინალამდე სულის მოთქმის დროც აღარ დარჩათ, მაინც ხარობენ. აღენს თავისი შვილები ტიაურა (მარცხნივ) და დიუსი ჩაუკრავს გულში. შვილები შვილებად და ჯვრისწერა ფილადელფიელ ვარსკვლავს ჯერ კიდევ წინა აქვს, მასა და ამ ბავშვების დედას, ტაგანას ჯერაც არ უქორწინიათ.



REUTERS ფილადელფიიდან

**სარბიელი**  
საორტული გაჯეთი  
გამოიცვავა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის სამუხაბატს,  
ოთხმუხაბატს, ხუთმუხაბატს,  
პარასკეპვს და შაბატს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ჳოცხვერია  
დირექტორი ბიორბი ოპრომქაქელიკმ  
რედაქტორი თამაზ მიგრიაული  
ტექნიკური რედაქტორი ვასტანბ ბზიკაქე  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეპიშვილი  
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, ვიორგი დარჯანია, ვიორგი ვაშაქიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და

ინფორმაციის რედაქცია ვია ახალაძე, ვიო ახვლეღიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ორაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლონჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მათა აბზიანიძე, ნათელა ვიორგობიანი, ლალი ვოხაღიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგუბაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბულაძე, სვეტა დევბაძე, მაგდა დოვრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუყუნიანი, გურამ ხელაშვილი  
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.  
საფოსტო მისამართი:  
თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29  
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge  
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge